შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელ პოლიტიკას ატარებს

ფოტო ნეთგაზეთი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით 2023 წლის 08 ივლისს განვითარებულ მოვლენებს.

საგანგაშოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ განაგრძობს სიძულვილის ჯგუფების მიმართ შემწყნარებელ პოლიტიკას. ნაცვლად კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებისა, უზრუნველყოს პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, უფლებას აძლევს მათ, ხელი შეუშალონ სხვა ადამიანების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად გაავრცელონ ძალადობისკენ მოწოდებები, და განახორციელონ ამგვარი ქმედებები.

ლგბტ+ თემის მხარდამჭერმა არასამთავრობო ორგანიზაცია Ḍ□□□□□□ პრაიდმა □ 2 ივნისს განაცხადა, რომ უერთდებიან Ḍ□□□□□□□□ და სიამაყის თვეს □ და 1-8 ივლისს თბილისში პრაიდის კვირეული გაიმართებოდა, რომელიც დახურული ღონისძიებებისგან შედგებოდა. 8 ივლისს Lisi Wonderland-ში Tbilisi Pride Fest 2023 უნდა გამართულიყო.

8 ივლისამდე დღეებით ადრე □იძულვილის ჯგუფები საჯაროდ ავრცელებდნენ სხვადასხვა განცხადებას, რომლებიც, თავისი შინაარსით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცხადად შეცნობადს ხდიდა მათგან მომდინარე ძალადობის რეალურ რისკს. გარდა ამისა, ონლაინ გავრცელდა უამრავი ერთგვაროვანი ვიდეო, რომლებიც მოუწოდებდნენ მოქალაქეებს გამოსულიყვნენ 8 ივლისს Tbilisi Pride Fest 2023-ის წინააღმდეგ. □ღნიშნული კამპანიის სათავეში კი ის პირები იდგნენ, ვინც, მათ შორის, 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან, და, რომლებთან დაკავშირებითაც არც შინაგან საქმეთა სამინისტროს, და, არც საქართველოს პროკურატურას, არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს, მიუხედავად მათ წინააღმდეგ არსებული უამრავი მტკიცებულებისა.

7 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ Ḍ□□□□□□ პრაიდის □ კვირეულის ფარგლებში დაანონსებულ 8 ივლისის ღონისძიებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული დახურული ღონისძიების მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით, პოლიციის შესაბამისი დანაყოფები მობილიზებულნი იქნებოდნენ ყველა საჭირო ლოკაციაზე და კომპეტენციის ფარგლებში დაიცავდნენ მართლწესრიგს და უსაფრთხოებას.

□ღნიშნულის საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ შსს კარგად იყო ინფორმირებული, და იცოდა სიძულვილის ჯგუფების მიზანი, დაერბიათ, მათ შორის, ძალადობრივი მეთოდებით □□□□□□□□ პრაიდის A ღონისძიება (იხ. □აგალითად, ზურაბ მახარაძის გამოსვლა), ვაჟა-ფშაველას ძეგლთან შეკრებილი კონტრაქციის წარმომადგენლები შეუფერხებლად გადაადგილდებოდნენ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, და, მათ მანამდე არანაირი ჯეროვანი დაბრკოლება სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების მიერ არ

დახვედრიათ. ოლო, ლისის ტბის მიმდებარედ სიძულვილის ჯგუფებმა თავისუფლად შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა და გადაინაცვლეს ლისის მთავარი შესასვლელისკენ. ადრების ანალიზი აჩვენებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგია ძალადობრივი ჯგუფებისგან მომდინარე რისკებს ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ/არ უწევდა. აახლოებით 14:55 საათისთვის პოლიციის კორდონი სრულად გარღვეული იყო. ადრებში, ასევე, ჩანს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები. აახლოებით 15:10 საათისთვის აქციის მონაწილეებმა სრულად დაიკავეს ფესტივალის ადგილი. იძულვილის ჯგუფების წევრები შეიჭრნენ კერძო საკუთრებაში, დაარბიეს ფესტივალის ტერიტორია, ფესტივალისთვის A გამაგრებული სცენა და სასცენო მოწყობილობები დაამტვრიეს, ინვენტარის ნაწილი კი დაწვეს.

ნაცვლად იმისა, რომ სამართალდამცავები სოლიდარობას უცხადებდნენ ჩაგრულ ჯგუფებს, უზურნველყოფდნენ მათი უფლებების დაცვის გარანტიებს, ადრებში ჩანს, 15:17 საათზე ერთ-ერთი ლიდერი ზურა მახარაძე და ანტიდასავლური მოძრაობის ლიდერი ვატო შაქარიშვილი როგორ შეჰყავს პოლიციას იმ ტერიტორიაზე, სადაც ფესტივალი უნდა ჩატარებულიყო, იმის საჩვენებლად, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა ნამდვილად დატოვეს ტერიტორია.

იგვაჩნია, რომ დღეს განვითარებული მოვლენები გაგრძელებაა 2021 წლის 5 ივლისის, რომლის გამოძიებაშიც საერთოდ რეაგირების გარეშეა დატოვებული ძალადობის ორგანიზატორების და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც ევალებოდა 2021 წლის 5 ივლისს, ჯეროვნად დაეცვა ადამიანები სიძულვილის ჯგუფებისგან. სევე, ამ დრომდე უცნობია დაწყებულია, თუ არა გამოძიება ტვ პირველის ეთერში 2022 წლის 12 ივნისს გასული სიუჟეტის საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლების შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამო. სახელმწიფო ნაცვლად შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით დაუბრკოლებელი სარგებლობისთვის გარანტიების შექმნისა, კვლავ ძალადობრივი ჯგუფების დომინირებას უწყობს ხელს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სოლიდარობას ვუცხადებთ ლგბტ+ თემის წევრებს და მოვუწოდებთ სახელმწიფო სტრუქტურებს, იხელმძღვანელონ საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად:

- ჰქონდეთ დროული და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ძალადობრივ მოწოდებებსა და ქმედებებზე, ძალადობაზე ადეკვატური რეაგირების და შემდგომი ძალადობრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად გამოკვეთონ ძალადობის ორგანიზატორების პასუხისმგებლობა;

- დაიცვან ლგბტ+ ადამიანების უფლებები და უსაფრთხოება, მათ შორის, მათი უფლება სურვილის შემთხვევაში ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე მათთვის სასურველ ლოკაციაზე ჩაატარონ ღონისძიება;

- დაიცვან მედიის წარმომადგენლები ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელისშეშლისაგან, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და გამოხატვის თავისუფლების სათანადოდ რეალიზება, აგრეთვე, უზრუნველყონ მედიის წარმომადგენლების მიმართ დანაშაულის დროული, ეფექტიანი გამოძიება და დამნაშავეების დასჯა.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მწვანე ალტერნატივა

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო

სასამართლოს გუშაგი

უფლებები საქართველო

პლატფორმა “სალამი”

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო

ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI)